



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო  
G E O R G I A  
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი: ო65.6522024001

თარიღი: 24/01/2022

ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს რ ი გ ი თ ი

ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი N 1

ქ. ვ ა ნ ი, თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ქ. N65 21.01.2022 წ.

ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს ს ხ დ ო მ ა ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ო ბ დ ა ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე - ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი.

**ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ა ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს 24 წ ე ვ რ ი:** ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, გ ი ო რ გ ი ი ვ ა ნ ი ა ძ ე, დ ა ვ ი თ ხ ა რ ძ ე ი შ ვ ი ლ ი, შ ო თ ა გ ი ო რ გ ა ძ ე, გ ე ლ ა ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ვ ლ ა დ ი მ ე რ ჭ ვ ა ლ ა ძ ე, რ ა მ ა ზ ა რ ვ ე ლ ა ძ ე, კ ო ბ ა ტ ო ხ ვ ა ძ ე, ლ ი ა დ ი ა ს ა მ ი ძ ე, ს ა ნ დ რ ო ხ უ რ ც ი ძ ე, ლ ა ნ ა გ ო გ ო ძ ე, ი ლ ი ა დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, გ ი ო რ გ ი ტ ყ ე მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ი ვ ა ნ ე კ ო რ ძ ა ძ ე, შ ა ლ ვ ა ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მ ა კ ა ზ ა რ ნ ა ძ ე, ტ ა რ ი ე ლ ბ ა რ ა მ ი ძ ე, თ ე ო ნ ა ა დ ე ი შ ვ ი ლ ი, ე თ ე რ ი ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, თ ო რ ნ ი კ ე ე რ ი ს თ ა ვ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ე, დ ა ვ ი თ კ ა კ ა ბ ა ძ ე, ნ ა ტ ო დ ვ ა ლ ი, კ ო ბ ა ძ ა გ ნ ი ძ ე.

**ს ხ დ ო მ ა ს ს ა პ ა ტ ი ო მ ი ზ ე ზ ი თ ა რ ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს წ ე ვ რ ე ბ ი:** გ რ ი გ ო ლ მ ა ტ ა რ ა ძ ე, გ ე ლ ა ღ ვ ი ტ ი ძ ე, გ ე ლ ა ჩ ი კ ვ ა ი ძ ე, ბ ი ჭ ი კ ო პ ა ი კ ი ძ ე, თ ა მ ა რ შ ე ნ გ ე ლ ი ა, ლ ი ზ ა ტ ყ ე მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.

(დანართი: N1)

ს ხ დ ო მ ა ს ა ს ე ვ ე ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს ა პ ა რ ა ტ ი ს ი უ რ ი დ ი უ ლ დ ა ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო ს ა კ ი თ ხ თ ა გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს უ ფ რ ო ს ი - ლ უ ი ზ ა ჯ ო გ ლ ი ძ ე

ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს ა პ ა რ ა ტ ი ს ი უ რ ი დ ი უ ლ დ ა ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო ს ა კ ი თ ხ თ ა გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს უ ფ რ ო ს ი ს მ ო ა დ გ ი ლ ე ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო ს ა კ ი თ ხ ე ბ შ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ შ ი - ლ უ ბ ა გ ო გ ო ძ ე.

მ ო წ ვ ე უ ლ ი პ ი რ ე ბ ი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო-სამსახურის უფროსი -  
**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების  
მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიადი კაპანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია  
სხდომას 14<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

### **დღის წესრიგი**

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“  
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.  
მომხს.გიორგი ივანიაძე
2. „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი  
დებულების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017  
წლის 3 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ  
მომხს: გიორგი ივანიაძე
3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და  
ტურიზმის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.  
მომხს. გიორგი ივანიაძე
4. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამუშავების შესახებ“ ვანის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე;  
მომხს.ივანე მამფორია
5. საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ  
გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწოდების  
შესახებ“.  
მომხს. ზვიადი კაპანაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - არცერთი.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით  
მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ.

მოხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ცვლილებები არის შემდეგი:

საკრებულოში იქმნება საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სია. დაუშვებელია ამ სიაში საკრებულოს რომელიმე ფრაქციის წევრთა ნაწილის შეყვანა. უმრავლესობის წევრთა სიაში მიეთითება ლიდერი, შესაძლებელია ამ სტატუსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამდებობასთან შეთავსება. საკრებულო ფრაქციას, უფრაქციო წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს დატოვოს საკრებულოს უმრავლესობა. მისი დატოვოს შესახებ იგი აცნობებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას. თუ საკრებულოს უმრავლესობის წევრი ოპოზიციაში შემაჯალ ფრაქციაში გაერთიანდა, იგი უმრავლესობიდან გასულად ითვლება. საკრებულოს უმრავლესობის წევრებს უფლება აქვთ, საკრებულოს ბიუროს ნებისმიერ დროს წარუდგინონ საკრებულოს უმრავლესობის წევრთა განახლებული სია. საკრებულოს ის წევრი, რომელიც არ შედის საკრებულოს უმრავლესობაში, განეკუთვნება საკრებულოს ოპოზიციას.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 23

წინააღმდეგი -1 (დავით კაკაბაძე)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

დადგენილება N 1

**მოხსენეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ დებულებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით, საბჭოს სხდომას 3 თვეში ერთხელ მაინც იწვევს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს სხდომა ღიაა და საჯარო. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 23

წინააღმდეგი -1 (დავით კაკაბაძე)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.“

დადგენილება N 2

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 თებერვლის N35 დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თბილისის დამკვიდრების შესახებ“ და ამდკვიდრის ახალი თბილისი. ამ თბილისში ძირითადი ცვლილება არის ის, რომ დაემატა ტურიზმი და მასთან დაკავშირებული საკითხები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 23

წინააღმდეგი -1 (დავით კაკაბაძე)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.“

დადგენილება N 3

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანიძემ წამოაყენა წარმოდგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამკვიდრების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 5999,1 ათასი ლარით და განსაზღვრულია 14749,1 ათასი ლარით, გადასახდელები გაიზარდა 8427,9 ათასი ლარით და განსაზღვრულია 17717,9 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება შეადგენს 2978.8 ათას ლარს.

შემოსულობებში ზრდა 5999,1 ათასი ლარი განაპირობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამიდან, ასევე საჯარო სკოლების ტრანსპორტირების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებამ. კონკრეტულად:

ა) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები შეადგენს 2889,2 ათას ლარს, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამიდან 2700,3 ათასი ლარს, ხოლო საჯარო სკოლების ტრანსპორტირების ღონისძიებები 254,5 ათას ლარს.

ბ) ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილი გაზრდილია 8427,9 ათასი ლარით, საიდანაც 5999,1 ათას ლარს ზემოთაღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენს, ხოლო სხვაობა 2428,8 ათასი ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე.

აღნიშნული ნაშთიდან 1876,9 ათასი ლარი არის საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში 2021 წელს გაფორმებული გარდამავალი ხელშეკრულებების დაფინანსების თანხა, ხოლო სხვა დანარჩენი შესრულებული სამუშაოების საგარანტო პერიოდის უზრუნველყოფის თანხა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 23

წინააღმდეგი -1(დავით კაკაბაძე)

**ჯადაწყვიტის:** დამტკიცდეს დადგინილების პროექტი „ ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

დადგენილება N 4

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩიკვიციანი (ზვიად კაკაბაძის საპატიო მიწვევით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწოდების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა 16 საპროექტო იდეის განაცხადი. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ეს პროექტები.

მომხსენებლის შემდეგ სიტყვა ითხოვა საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მუჯავანაძემ. მან თხოვა მომხსენებელს თუ შესაძლებელი იქნებოდა პროექტების ჩამონათვალში დაემატებინათ გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელობის მუზეუმის და მასთან მისასვლელი გზის გაკეთება. წინადადება მოწონებულ იქნა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გამოთქმულ შენიშვნას გაითვალისწინებს მომდევნო იდეების წარმოდგენის დროს.

დეპუტატების მხრიდან წარმოდგენილი პროექტის და წინადადების მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 23

წინააღმდეგი -1(დავით კაკაბაძე)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწოდების შესახებ“.

განკარგულება N გ-65.65220211

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე**

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

